



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2014 წლის 25 ივლისის
 № 1241 დადგენილებით
მოდიფიცირებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2019 წლის 22 ივლისის
 № 01-05-04/180 დადგენილებით

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

მოდის დიზაინის ტექნოლოგიები

Fashion Design and Technology

ფაკულტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

Architecture, Urban Planning and Design Faculty

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

პროფესორი ლია ლურსმანაშვილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

დიზაინის ბაკალავრი (Bachelor of design)

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული ძირითადი სპეციალობის 220

კრედიტისა და თავისუფალი კომპონენტების 20 კრედიტის კომბინირებით, არანაკლებ 240

კრედიტის შესრულების შემთხვევაში

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაიშვება მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელიც სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სპეციალური კომისიის წინაშე გაივლის გასაუბრებას, სადაც წარადგენს საკუთარი ხელით შესრულებულ პორტფოლიოს (ნახატებს) და ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გასაუბრების ჩატარების თარიღი გამოქვეყნდება სტუ-ს ვებგვერდზე

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით. სტუ-ში 1 კრედიტი უტოლდება 25 საათს. აქ იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა გრძელდება 4 წელი და მოიცავს 8 სემესტრს. ერთი აკადემიური წელი წარმოადგენს 2 სემესტრის ერთობლიობას. ის მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. სემესტრი თავის მხრივ არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას და სასესიო პერიოდს. ასევე ითავსებს ერთ შუასემესტრულ გამოცდას. სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა კვირაში. სასწავლო კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური ოდენობა შეადგენს არაუმეტეს 45 საათს. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან 15 სასწავლო კვირას (სააუდიტორიო მეცადინეობები), დოკუმენტური მასალების ჩაბარების 1 კვირას და 3 სასესიო კვირას (დასკვნითი გამოცდებისთვის განკუთვნილ 2 კვირას და 1 კვირას დამატებითი გამოცდებისთვის). ასევე ერთ შუასემესტრული გამოცდისთვის განკუთვნილ კვირას. ერთი სემესტრი მოიცავს 30 კრედიტს. კონკრეტული სემესტრის ხანგრძლივობა დგინდება რექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით „სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ“.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, კერძოდ, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა 40 (დასკვნითი შეფასების მინიმალური დადებითი ქულაა 10), ხოლო შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულა - 60. ამასთან, შუალედური შეფასება მოიცავს 2 კომპონენტს: შუასემესტრულ გამოცდას და მიმდინარე აქტივობის შეფასებას (ტესტირება, პრაქტიკული/თეორიული საშინაო დავალების შესრულება, სემინარზე აქტივობა და ა.შ.). შუასემესტრული გამოცდა შეფასების აუცილებელი კომპონენტია, მისი მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური დადებითი შეფასებაა 7,5 ქულა. მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური დადებითი შეფასება - 15 ქულა. FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.

პროგრამა მოიცავს ძირითადი სპეციალობის 220 კრედიტის და თავისუფალი კომპონენტების სახით 20 კრედიტის სასწავლო კურსებს. ძირითადი სპეციალობის 220 კრედიტადან უცხოური ენის კომპონენტს ეთმობა 10 კრედიტი (არჩევითი უცხოური ენები: ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული), ჰუმანიტარულ სასწავლო კურსებს - 3 კრედიტი (7 საგნიდან სტუდენტი ირჩევს ერთს), სპეციალობის არჩევით საგნებს - 5 კრედიტი (სამი საგნიდან სტუდენტი ირჩევს ერთს), საწარმოო პრაქტიკას - 8 კრედიტი და საბაკალავრო პროექტს - 10 კრედიტი. პროგრამა ასევე მოიცავს არჩევით თავისუფალ კომპონენტებს (12 საგანი, სულ 60 კრედიტი), რომელიც წარმოდგენილია 3-3 5 კრედიტიანი სასწავლო კურსისგან შედგენილი 4 ჯგუფის სახით. VIII სემესტრში თითოეული ჯგუფიდან სტუდენტი ირჩევს მისთვის სასურველ 1 საგანს და თავისუფალი კომპონენტების საშუალებით აგროვებს 20 კრედიტს.

პროგრამა შედგენილია საქსიონის გამოყენებითი ხელოვნების უნივერსიტეტის (ნიდერლანდები, ენსხედე) და ნეიდერჰაინის გამოყენებითი ხელოვნების უნივერსიტეტის (გერმანია, მენხენგლადბახი) გამოცდილების გაზიარებით. პროგრამა მისცემს სტუდენტებს პროფესიისთვის საჭირო ცოდნას და შესაბამის უნარებს, რომელიც მომავალში წარმატებული კარიერის შექმნაში დაეხმარებათ.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური და დემოკრატიულ-ჰუმანურ ფასეულობებზე ორიენტირებული, დიზაინის ბაკალავრების მომზადება, რომელთაც ექნებათ მოდის დიზაინის ტექნოლოგიების სფეროს შესაბამისი ცოდნა და პრაქტიკული უნარი, როგორც მხატვრულ-ტექნიკურ მოდელირებაში, ასევე თანამედროვე ნოვატორულ და კრეატიულ ტექნოლოგიებში.

პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი კადრის მომზადებას, რომელიც მზად იქნება:

ა. მოდური ტენდენციების, კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური მიღწევების, კულტურული მემკვიდრეობის ტრადიციული მიმდინარეობების გამოყენებით თანამედროვე ნაწარმის მხატვრულ-ტექნიკური დაგეგმარებისათვის, შემოქმედებითი პროექტისათვის პორთფოლიოს შედგენისა და კოლექციის შექმნისათვის.

ბ. მხატვრული და ტექნიკური სფეროების ინტეგრირების გზით, მასიური და სერვისის საწარმოებში, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური სამუშაოების წარმართვისათვის.

გ. შემოქმედებითი, დიზაინერული და ტექნოლოგიური ამოცანების გადაჭრა-განხორციელების მიზნით, მიღებული ცოდნის განვითარებისათვის.

დ. პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, მოდის დიზაინის და ტექნოლოგიის სფეროს ეთიკური პრინციპების, ფასეულობების, ღირებულებების და ტრადიციების დაცვისათვის.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

ცოდნა და გაცნობიერება

1. აღიარებს სამოსის ასორტიმენტის, კლასიფიკაციის და გამოყენებული მასალების, ნაწარმის მხატვრული მოდელირების, კონსტრუირებისა და ტექნოლოგიური დამუშავებისათვის საჭირო მეთოდების, მოდის დიზაინის ტექნოლოგიების ძირითადი პრინციპების, გამოყენებითი ანთროპოლოგიის, ბიომექანიკის, კონსტრუირების და მხატვრული მოდელირების ურთიერთკავშირის შესახებ, მოდის დიზაინის ტექნოლოგიების სფეროს ფართო, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის აუცილებლობას.

2. განმარტავს ნაწარმის დაგეგმარებისათვის საჭირო მხატვრული და ტექნიკური სფეროების ინტეგრირების აუცილებლობას, დარგის მდგრადი განვითარებისათვის საწარმოთა მოქნილი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ტექნიკის გამოყენების, ნაწარმის დამუშავების კრეატიული ტექნოლოგიების როლსა და მნიშვნელობას.

3. აღიარებს მოდის დიზაინის ტექნოლოგიების სფეროების: ნაწარმის მარკეტინგი და რეკლამირება (ბრენდინგი, PR, სპონსორინგი, ფანდრაიზინგი), დარგის მენეჯმენტი (პროექტმენეჯმენტი, კორპორაციული მენეჯმენტი, თვითმენეჯმენტი, ბიზნესის ადმინისტრირება) ურთიერთკავშირის მნიშვნელობას.

უნარი

4. განჭვრეტს სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და ანალიზისათვის, განმარტებითი დოკუმენტაციის შექმნისა და გრაფიკული დაგეგმარებისათვის კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობას და უცხოური ენის ფლობის მნიშვნელობას საქმიანი ურთიერთობების წარმართვისათვის.

5. იყენებს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას მოდის დიზაინის სფეროში შემეცნებითი და შემოქმედებითი პრობლემების გადასაწყვეტად. პროგნოზირებს თანამედროვე მოდურ ტენდენციებს, ირჩევს თემას, არჩეული თემის ირგვლივ ახდენს ვიზუალური და თეორიული მასალის მოძიებას. მკაფიოდ აყალიბებს დიზაინერული ნამუშევრის კონცეპტუალურ

საკითხებს. ასაბუთებს იდეის განხორციელების მეთოდებსა და საშუალებებს, აანალიზებს საკვლევი თემის კოლორისტულ თავისებურებებს.

6. ახდენს მხატვრულ-გრაფიკული ნამუშევრის შესრულებას. ასრულებს კოლექციის ესკიზებს. ირჩევს ძირითად და დამხმარე მასალებსა და ფურნიტურას სტრუქტურის, თვისებების და დასაგეგმარებელი ნაწარმის ასორტიმენტის შესაბამისად. აგებს ნაწარმის კონსტრუქციულ ნახაზს, როგორც ტიპიური, ისე ინდივიდუალური ფიგურისათვის მითითებების შესაბამისად. ამზადებს ნაწარმის თარგს ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად. აწარმოებს ნაწარმის ტექნოლოგიური რუქის დამუშავებას. ტექნოლოგიური რუქის შესაბამისად ახდენს ნაწარმის მასალაში დამუშავებას.

7. აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს მოდის დიზაინის სფეროში პრობლემების გადასაწყვეტად სტანდარტული ან ზოგიერთი გამორჩეული კრეატიული მეთოდის საფუძველზე. აკეთებს განზოგადოებულ დასკვნებს თანამედროვე ტენდენციების შეფასებისა და მიღებული შედეგების შეჯამებისათვის.

8. ადგენს შემოქმედებითი პროექტისათვის პორთფოლიოს და ამზადებს კოლექციას პრეზენტაციისათვის.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

9. ანვითარებს მიღებულ ცოდნას შემოქმედებითი, დიზაინერული და ტექნოლოგიური კრეატიულ-კონცეფტუალური ამოცანების გადაჭრა-განხორციელების მიზნით და გეგმავს მოდის დიზაინის სფეროში წარმატებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად ცოდნის გაღრმავებას.

10. იზიარებს პროფესიული სტანდარტების საჭიროებას და ცნობს მოდის დიზაინისა და ტექნოლოგიის სფეროს ეთიკურ პრინციპებს, ფასეულობებსა და ღირებულებებს, პატივს სცემს ტრადიციებს.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა საკურსო სამუშაო/პროექტი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

1. დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების აქტივობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
2. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება – სწავლების იმგვარი სტრატეგიაა, როდესაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
3. ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ აქტივობის გამოყენებით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას.

ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - აქტივობა, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.
5. შემთხვევების შესწავლა (Case study) – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.
6. გონებრივი იერიში (Brain storming) – ეს აქტივობა გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული აქტივობა განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მისი გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგაა რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
 - პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
 - დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
 - შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
 - შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
 - გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
 - უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.
7. დემონსტრირების მეთოდი – აქტივობის ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.
8. ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.
9. დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
10. ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის,

შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

11. სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.
12. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.
13. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.
14. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
15. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
16. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია - პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი შესაძლებელია წარედგინოს ფართო აუდიტორიას.
17. ლაბორატორიული მეთოდი – გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეო მასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვა.
18. პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო

- მსუბუქი მრეწველობისა და ინდივიდუალური დაკვეთის საწარმოები;
- დიზაინერული სალონები;
- შემოქმედებითი სახელოსნოები;
- დიზაინ-სტუდიები;
- საფირმო ბრენდის მაღაზია - სალონები;
- ხარისხის ინსპექტირების სპეციალისტებად ფირმებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 69

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დამუშავების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
1	წრფივი ალგებრისა და კალკულუსის ელემენტები	არ აქვს	5							
2	მხაზველობითი გეომეტრია	არ აქვს	3							
3	აკადემიური ხატვა	არ აქვს	7							

4	შესავალი ხელოვნების ისტორიაში	არ აქვს	3								
5	ინფორმატიკა და კომპიუტერული გრაფიკა (Corel Draw)	არ აქვს	7								
6	უცხოური ენა (არჩევითი)										
6.1	ინგლისური ენა – 1	ინგლისურ ენაში ეროვნული გამოცდის შედეგი	5								
6.2	რუსული ენა - 1	რუსულ ენაში ეროვნული გამოცდის შედეგი									
6.3	გერმანული ენა –1	გერმანულ ენაში ეროვნული გამოცდის შედეგი									
6.4	ფრანგული ენა –1	ფრანგულ ენაში ეროვნული გამოცდის შედეგი									
7	ფერწერა და ფერადი გრაფიკა	აკადემიური ხატვა	7								
8	კომპოზიციის საფუძვლები	არ აქვს	5								
9	კოსტუმის ისტორია	შესავალი ხელოვნების ისტორიაში	5								
10	ტექნიკური ნახაზი მოდის დიზაინში (CAD)	ინფორმატიკა და კომპიუტერული გრაფიკა (Corel Draw) წრფივი ალგებრისა და კალკულუსის ელემენტები	5								
11	უცხოური ენა (არჩევითი)										
11.1	ინგლისური ენა - 2	ინგლისური ენა - 1	5								
11.2	რუსული ენა - 2	რუსული ენა - 1									
11.3	გერმანული ენა - 2	გერმანული ენა - 1									
11.4	ფრანგული ენა – 2	ფრანგული ენა									

		- 1								
12	არჩევითი ჰუმანიტარული საგნები									
12.1	ფილოსოფიის საფუძვლები	არ აქვს								
12.2	სოციოლოგიის შესავალი	არ აქვს								
12.3	აკადემიური წერის ელემენტები	არ აქვს								
12.4	შესავალი ფსიქოლოგიაში	არ აქვს		3						
12.5	საქართველოს ისტორია	არ აქვს								
12.6	კულტუროლოგია	არ აქვს								
12.7	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	არ აქვს								
13	სპეც. კომპოზიცია 1	კომპოზიციის საფუძვლები			5					
14	ქართული ეროვნული სამოსისა და ორნამენტის ისტორია	კოსტუმის ისტორია			5					
15	შესავალი ფერთამცოდნეობაში	არ აქვს			5					
16	ტექსტილის ნაკეთობათა მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების მეთოდები	არ აქვს			10					
17	გამოყენებითი ანთროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები	არ აქვს			5					
18	შრომის უსაფრთხოება	არ აქვს			5					
19	სპეც. კომპოზიცია 2	სპეც. კომპოზიცია 1 შესავალი ფერთამცოდნეობაში ტექსტილის ნაკეთობათა მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების მეთოდები			5					
20	ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები - ანთროპომეტრია	არ აქვს			5					
21	ტექსტილის მასალათმცოდნეობა	არ აქვს			5					
22	დარგის საწარმოო ტექნიკა	არ აქვს			4					
23	ტექსტილის ნაწარმის საწყისი ტექნოლოგიური დამუშავება	არ აქვს			6					

24	სპეც. კომპოზიცია 3	სპეც. კომპოზიცია 2					5			
25	ტყავის მასალათმცოდნეობა	არ აქვს					5			
26	ფეხსაცმლის დეტალების ტექნოლოგიური დამუშავება	არ აქვს					5			
27	ტექსტილის ნაწარმის კონსტრუირება	გამოყენებითი ანთროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები					6			
		მხაზველობითი გეომეტრია								
28	სამოსის წარმოების თანამედროვე მანქანები და მათი პრაქტიკული გამოყენება	დარგის საწარმოო ტექნიკა					4			
29	სპეციალობის არჩევითი საგნები									
29.1	სტილი და მოდა	კოსტუმის ისტორია					5			
29.2	დარგის ნაკეთობათა ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის მართვა	ტექსტილის ნაწარმის საწყისი ტექნოლოგიური დამუშავება								
29.3	სამოსის ჰიგიენა	ტექსტილის მასალათმცოდნეობა								
30	სპეც. კომპოზიცია 4	სპეც. კომპოზიცია 3					5			
31	ტექსტილის ნაწარმის ტექნოლოგია	ტექსტილის ნაწარმის საწყისი ტექნოლოგიური დამუშავება					6			
		ტექსტილის მასალათმცოდნეობა								
32	ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირება	ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები - ანთროპომეტრია					5			

		მხაზველობითი გეომეტრია								
33	არქიტექტონიკა	არ აქვს						4		
34	დარგის მენეჯმენტი (კორპორაციული მენეჯმენტი, ბიზნესის ადმინისტრირება, პერსონალის მართვა)	არ აქვს						5		
35	ნაწარმის მარკეტინგი და რეკლამირება (PR, ბრენდინგი, სპონსორინგი, ფანდრაიზინგი)	არ აქვს						5		
36	სამოსის მხატვრული მოდელირება	სპეც. კომ-პოზიცია 4						4		
		არქიტექტონიკა								
37	კულტურული მემკვიდრეობა და მოდური ტენდენციები	ტექსტილის ნაკეთობათა მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების მეთოდები						4		
38	ტყავის ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგია	ფეხსაცმლის დეტალების ტექნოლოგიური დამუშავება						6		
39	ტყავის ნაწარმის (ფეხსაცმლის) მხატვრულ-ინჟინრული დაგეგმარების ინტეგრაცია	ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები - ანთროპომეტრია						4		
40	ტექსტილის ნაწარმის მხატვრულ - ინჟინრული დაგეგმარების ინტეგრაცია	ტექსტილის ნაწარმის კონსტრუირება						4		
		ტექსტილის ნაწარმის ტექნოლოგია								
41	საწარმოო პრაქტიკა ტექსტილის ნაწარმისა და ტყავის ნაკეთობათა საწარმოებში	ტექსტილის ნაწარმის ტექნოლოგია						8		
		ტყავის მასალათმცოდნეობა								
		შრომის უსაფრთხოება								

42	საბაკალავრო პროექტი	სამოსის მხატვრული მოდელირება																	
		ტყავის ნაწარმის (ფეხსაცმლ.) მხატვრული ინჟინრული დაგეგმარებ. ინტეგრაცია																	
		ტექსტილის ნაწარმის მხატვრულ - ინჟინრული დაგეგმარებ. ინტეგრაცია																	
43	თავისუფალი კომპონენტები																	20	
I ჯგუფი																			
43.1.1	ქსოვა, ქარგვა, მასალაში შესრულება	არ აქვს																	
43.1.2	ქართული ეროვნული სამოსის კონსტრუირება	არ აქვს																5	
43.1.3	აქსესუარების მხატვრულ-ტექნიკური დაგეგმარება	არ აქვს																	
II ჯგუფი																			
43.2.1	ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვის ტექნოლოგია და მასალაში შესრულება	არ აქვს																	
43.2.2	ქართული ეროვნული სამოსის დამუშავების ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიები	არ აქვს																5	
43.2.3	აქსესუარების მასალაში შესრულება	არ აქვს																	
III ჯგუფი																			
43.3.1	ფერწერული ქარგვის, ქსოვის, გობელენის, თექის მასალების ღებვის ტექნოლოგია	არ აქვს																	
43.3.2	ქართული ეროვნული კოსტუმის ელემენტების მასალაში შესრულება	არ აქვს																5	
43.3.3	მეწარმეობის სამართლებლივი ფორმები	არ აქვს																	

IV ჯგუფი											
43.4.1	კომპიუტერული მოდელირება - 3D	არ აქვს									
43.4.2	თანამედროვე არქიტექტურის ისტორია	არ აქვს									5
43.4.3	თეჯა, მასალაში შესრულება	არ აქვს									
სემესტრში			30	30	30	30	30	30	30	30	30
წელიწადში			60	60			60			60	
სულ			240								

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ECTS კრედიტი/საათი	საათი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუსკემეტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
1	MAS34308G1	წრფივი ალგებრისა და კალკულუსის ელემენტები	5/125	15		30					1	2	77
2	EET70105G1	მხაზველობითი გეომეტრია	3/75	15		15					1	1	43
3	ART31606G1	აკადემიური ხატვა	7/175			90					2	2	81
4	HEL20906G1	შესავალი ხელოვნების ისტორიაში	3/75	15	15						1	1	43
5	ART12006G1	ინფორმატიკა და კომპიუტერული გრაფიკა (Corel Draw)	7/175				75				1	1	98
6	უცხოური ენა (არჩევითი)												
6.1	LEH10212G1	ინგლისური ენა – 1	5/125			45					1	1	78
6.2	LEH11412G1	რუსული ენა - 1				45					1	1	78
6.3	LEH11012G1	გერმანული ენა –1				45					1	1	78
6.4	LEH10612G1	ფრანგული ენა –1				45					1	1	78
7	ART31706G1	ფერწერა და ფერადი გრაფიკა	7/175			90					2	2	81

8	ART32406G1	კომპოზიციის საფუძვლები	5/125			45			1	1	78
9	ART16706G1	კოსტუმის ისტორია	5/125	30	15				1	1	78
10	ART16606G1	ტექნიკური ნახაზი მოდის დიზაინში (CAD)	5/125			45			1	1	78
11	უცხოური ენა (არჩევითი)										
11.1	LEH10312G1	ინგლისური ენა -2	5/125			45			1	1	78
11.2	LEH11512G1	რუსული ენა - 2				45			1	1	78
11.3	LEH11112G1	გერმანული ენა - 2				45			1	1	78
11.4	LEH10712G1	ფრანგული ენა - 2				45			1	1	78
12	არჩევითი ჰუმანიტარული საგნები										
12.1	HEL30212G1	ფილოსოფიის საფუძვლები	3/75	15	15				1	1	43
12.2	SOS40312G1	სოციოლოგიის შესავალი		15	15				1	1	43
12.3	LEH12112G1	აკადემიური წერის ელემენტები		15	15				1	1	43
12.4	SOS30312G1	შესავალი ფსიქოლოგიაში		15	15				1	1	43
12.5	HEL20212G1	საქართველოს ისტორია		15	15				1	1	43
12.6	SOS43811G1	კულტუროლოგია		15	15				2	2	41
12.7	LEH12012G1	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები		15	15				1	1	43
13	ART12306G1	სპეც. კომპოზიცია 1	5/125			45			1	1	78
14	ART12206G1	ქართული ეროვნული სამოსისა და ორნამენტის ისტორია	5/125	15	30				1	1	78
15	AAC63006G1	შესავალი ფერთამცოდნეობაში	5/125	8				37	1	2	77
16	ART12706G1	ტექსტილის ნაკეთობათა მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების მეთოდები	10/250	15		60			2	2	171
17	ART13706G1	გამოყენებითი ანთროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები	5/125	15		30			2	2	76
18	HHS20103G1	შრომის უსაფრთხოება	5/125	15	15		15		1	1	78
19	ART12406G1	სპეც. კომპოზიცია 2	5/125			45			1	1	78
20	MAP30206G1	ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები - ანთროპომეტრია	5/125	15		30			1	1	78
21	MAP30106G1	ტექსტილის მასალათმცოდნეობა	5/125	15		30			1	1	78
22	ART13106G1	დარგის საწარმოო ტექნიკა	4/100	15		15			1	1	68

23	ART16306G1	ტექსტილის ნაწარმის საწყისი ტექნოლოგიური დამუშავება	6/150	15		45			2	2	86
24	ART32506G1	სპეც. კომპოზიცია 3	5/125			45			1	1	78
25	ART13306G1	ტყავის მასალათმცოდნეობა	5/125	15		30			1	1	78
26	ART13906G1	ფეხსაცმლის დეტალების ტექნოლოგიური დამუშავება	5/125	15		30			1	1	78
27	ART14206G1	ტექსტილის ნაწარმის კონსტრუირება	6/150	15		45			1	1	88
28	ART14606G1	სამოსის წარმოების თანამედროვე მანქანები და მათი პრაქტიკული გამოყენება	4/100	15		15			1	1	68
29	სპეციალობის არჩევითი საგნები										
29.1	ART16106G1	სტილი და მოდა		15	30				1	1	78
29.2	ART12806G1	დარგის ნაკეთობათა ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის მართვა	5/125	15	30				1	1	78
29.3	ART12506G1	სამოსის ჰიგიენა		15		30			1	1	78
30	ART32606G1	სპეც. კომპოზიცია 4	5/125			45			1	1	78
31	ART14006G1	ტექსტილის ნაწარმის ტექნოლოგია	6/150	15		45			2	2	86
32	ART14306G1	ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირება	5/125	15		30			1	1	78
33	ART13006G1	არქიტექტონიკა	4/100			30			1	1	68
34	ART12906G1	დარგის მენეჯმენტი (კორპორაციული მენეჯმენტი, ბიზნესის ადმინისტრირება, პერსონალის მართვა)	5/125	15	30				1	1	78
35	ART16206G1	ნაწარმის მარკეტინგი და რეკლამირება (PR, ბრენდინგი, სპონსორინგი, ფანდრაიზინგი)	5/125	15	30				1	1	78
36	ART13606G1	სამოსის მხატვრული მოდელირება	4/100	15		15			1	1	68
37	ART12606G1	კულტურული მემკვიდრეობა და მოდური ტენდენციები	4/100	15	15				1	1	68
38	ART14106G1	ტყავის ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგია	6/150	15		45			1	1	88

39	ART14806G1	ტყავის ნაწარმის (ფეხსაცმლის) მხატვრულ-ინჟინრული დაგეგმარების ინტეგრაცია	4/100	15	15				1	1	68
40	ART14706G1	ტექსტილის ნაწარმის მხატვრულ - ინჟინრული დაგეგმარების ინტეგრაცია	4/100	15	15				1	1	68
41	ART14906G1	საწარმოო პრაქტიკა ტექსტილის ნაწარმისა და ტყავის ნაკეთობათა საწარმოებში	8/200				75		1	1	123
42	ART16406G1	საბაკალავრო პროექტი	10/250					75	6	6	163
43	თავისუფალი კომპონენტები										20
I ჯგუფი											
43.1.1	ART15906G1	ქსოვა, ქარგვა, მასალაში შესრულება	5/125		45				1	1	78
43.1.2	ART15306G1	ქართული ეროვნული სამოსის კონსტრუირება	5/125	5	40				1	1	78
43.1.3	MAP30406G1	აქსესუარების მხატვრულ-ტექნიკური დაგეგმარება	5/125	15	30				1	1	78
II ჯგუფი											
43.2.1	ART14506G1	ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვის ტექნოლოგია და მასალაში შესრულება	5/125		45				1	1	78
43.2.2	MAP30306G1	ქართული ეროვნული სამოსის დამუშავების ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიები	5/125	5	40				1	1	78
43.2.3	ART15506G1	აქსესუარების მასალაში შესრულება	5/125		45				1	1	78
III ჯგუფი											
43.3.1	ART15106G1	ფერწერული ქარგვის, ქსოვის, გობელენის, თექის მასალების ღებვის ტექნოლოგია	5/125	15	30				1	1	78
43.3.2	ART16006G1	ქართული ეროვნული კოსტუმის ელემენტების მასალაში შესრულება	5/125		45				1	1	78
43.3.3	ART15606G1	მეწარმეობის სამართლებლივი ფორმები	5/125	15	30				1	1	78

IV ჯგუფი												
43.4.1	ART15706G1	კომპიუტერული მოდელირება - 3D	5/125				45			1	1	78
43.4.2	HEL25006G1	თანამედროვე არქიტექტურის ისტორია	5/125	15	30					1	1	78
43.4.3	ART15806G1	თეჯა, მასალაში შესრულება	5/125				45			1	1	78

პროგრამის ხელმძღვანელი

ლია ლურსმანაშვილი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ნინო ხაბეიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ნინო იმნაძე

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

მიღებულია

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი N7) 30 ივნისი 2014 წელი ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

მოდირიგირებულია

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი N11) 15 ივლისი 2019 წელი

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ნინო იმნაძე

პროგრამის სწავლის შედეგი¹

სასწავლო კურსი	პროგრამის სწავლის შედეგი 1	პროგრამის სწავლის შედეგი 2	პროგრამის სწავლის შედეგი 3	პროგრამის სწავლის შედეგი 4	პროგრამის სწავლის შედეგი 5	პროგრამის სწავლის შედეგი 6	პროგრამის სწავლის შედეგი 7	პროგრამის სწავლის შედეგი 8	პროგრამის სწავლის შედეგი 9	პროგრამის სწავლის შედეგი 10
წრფივი ალგებრისა და კალკულუსის ელემენტები		1		2						1
მხაზველობითი გეომეტრია	1	2		1						1
აკადემიური ხატვა	1	1				2		2	2	
შესავალი ხელოვნების ისტორიაში	1	2			2				2	
ინფორმატიკა და კომპიუტერული გრაფიკა (Corel Draw)		2		2					2	
ინგლისური ენა – 1	1			2					2	
რუსული ენა - 1	1			2					2	
გერმანული ენა –1	1			2					2	
ფრანგული ენა –1	1			2					2	
ფერწერა და ფერადი გრაფიკა	2	2			2	3			3	
კომპოზიციის საფუძვლები	1				2		2	2		1
კოსტუმის ისტორია	1			2	2				2	
ტექნიკური ნახაზი მოდის დიზაინში		2		2					3	

¹ პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

(CAD)										
ინგლისური ენა - 2	2			2					3	
რუსული ენა - 2	2			2					3	
გერმანული ენა - 2	2			2					3	
ფრანგული ენა - 2	2			2					3	
ფილოსოფიის საფუძვლები		1			2		2			1
სოციოლოგიის შესავალი		1			2		2			1
აკადემიური წერის ელემენტები		1			2		2			1
შესავალი ფსიქოლოგიაში		1			2		2			1
საქართველოს ისტორია		1			2		2			1
კულტუროლოგია		1			2		2			1
ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები		1			2		2			1
სპეც. კომპოზიცია 1	2			2	2	2	2	2	2	1
ქართული ეროვნული სამოსისა და ორნამენტის ისტორია		2			2		2	2	2	
შესავალი ფერთამცოდნეობაში	2				2			2	2	
ტექსტილის ნაკეთობათა მხატვრულ- დეკორატიული გაფორმების მეთოდები	1	2			2		2	3	3	1

¹ პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

გამოყენებითი ანთროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები	1	2		2		3	2		2	
შრომის უსაფრთხოება		1		2					2	2
სპეც. კომპოზიცია 2	2			2	2	2	2	2	2	1
ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები - ანთროპომეტრია	1	2		2		3	2		2	
ტექსტილის მასალათმცოდნეობა	1				2	3			3	1
დარგის საწარმოო ტექნიკა		2				3	2		2	
ტექსტილის ნაწარმის საწყისი ტექნოლოგიური დამუშავება	1	2		2	2	2	2		2	1
სპეც. კომპოზიცია 3	2			2	2	2	2	2	2	1
ტყავის მასალათმცოდნეობა	1				2	3			3	1
ფეხსაცმლის დეტალების ტექნოლოგიური დამუშავება	1	2		2	2	2	2		2	1
ტექსტილის ნაწარმის კონსტრუირება	2	2		2		3	2	3	3	1
სამოსის წარმოების თანამედროვე მანქანები და მათი პრაქტიკული გამოყენება	2	2				2			3	1
სტილი და მოდა		2		2	2				2	2

¹ პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

დარგის ნაკეთობათა ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის მართვა		2				2			2	
სამოსის ჰიგიენა	2					2			2	
სპეც. კომპოზიცია 4	2			2	2	2	2	2	2	1
ტექსტილის ნაწარმის ტექნოლოგია	2	2				2	2	3	2	1
ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირება	2	2		2		3	2	3	3	1
არქიტექტონიკა	1	2			2				2	
დარგის მენეჯმენტი (კორპორაციული მენეჯმენტი, ბიზნესის ადმინისტრირება, პერსონალის მართვა)			1	2					2	1
ნაწარმის მარკეტინგი და რეკლამირება (PR, ბრენდინგი, სპონსორინგი, ფანდრაიზინგი)			1	2	2		2		2	1
სამოსის მხატვრული მოდელირება	2				2	2		3	3	
კულტურული მემკვიდრეობა და მოდური ტენდენციები	2	2		2	2	2	2		3	
ტყავის ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგია	2	2				2	2	3	2	1
ტყავის ნაწარმის (ფეხსაცმლის) მხატვრულ-	2	2			3	3	3		3	2

¹ პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

ინჟინრული დაგეგმარების ინტეგრაცია										
ტექსტილის ნაწარმის მხატვრულ - ინჟინრული დაგეგმარების ინტეგრაცია	2			3	3	3	3	3	3	2
საწარმოო პრაქტიკა ტექსტილის ნაწარმისა და ტყავის ნაკეთობათა საწარმოებში	3	3			3	3	3		3	3
საბაკალავრო პროექტი	3	3		3	3	3	3	3	3	3

¹ პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა²

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგი 1	პროგრამის სწავლის შედეგი 2	პროგრამის სწავლის შედეგი 3	პროგრამის სწავლის შედეგი 4	პროგრამის სწავლის შედეგი 5	პროგრამის სწავლის შედეგი 6	პროგრამის სწავლის შედეგი 7	პროგრამის სწავლის შედეგი 8	პროგრამის სწავლის შედეგი 9	პროგრამის სწავლის შედეგი 10
ა	✓			✓	✓	✓	✓	✓	✓	
ბ	✓	✓				✓		✓	✓	
გ	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
დ					✓			✓		✓

² პროგრამის სწავლის შედეგები მონიშნეთ „✓“ სიმბოლოთი.